

საქართველოს

დამოუკიდებლობა

1952 წ. ივნისი

№ 4

რედაქციის დროებითი მისამართი

60, rue Dombasle, Paris (15) M^r R. Gabachvili.

L'INDÉPENDANCE GÉORGIENNE

„კართული ეროვნული პოლიტიკური ცენტრისა უცხოეთში“

პარიზი, ივნისი 1952 წ.

ივნისი პოლიტიკა

რუსეთის შეიარაღებული ბოლშევიზმი, — აი მტერი ნომერი პირველი დანარჩენი მსოფლიოსა და არა იდეური კომუნისმი, რომელსაც პირველი, როგორც მგელი ცხვრის ტყავში, საფარველად ხმარობს.

დემოკრატიული მსოფლიო კი, — სიტყვისა ირწმენის, იდეის თავისუფლების მალადღებელი, — წინააღმდეგობაშია ჩავარდნილი: ებრძვის „კომუნისმს“, ცხვრის ტყავსა ხევს, რომელიც ამ თვალთ-მაქცობით მოსწონს ყველას და თვით მგელის ბუნებაზედა სდუმს... დიპლომატიური (?) მოსაზრებით.

რუსეთის იმპერია — მგელს (თუმცა ყველა სიმბოლოურად დათეს ეძახის) — ბუნება არ შეუცვლია, მხოლოდ ქურქი; და ღმუთილის მაგიურ, ბატკანივით „მე-მე-მე“ მშვიდობიანობა! — „ო, გაიძახის და მისი ლეკვებიც ყველგან — ასი ორგანიზაციისა, თუ პიროვნებათა სახით, — იმავე სულისკვეთებით არიან გაყენილინი, უკვე დაპყრობილი ერებისადმი და ჯერ დაუპყრობელთა მიმართაც. მათ ემატებათ ადგილობრივი „მე-მე-მე“ კოლონიები“ და თავისუფლების სახელით, თავისუფლად დათარეშობენ და შიგნიდან არღვევენ დემოკრატიის ძალებს; მაშინ როდესაც რუსეთში ნამდვილი დემოკრატიული ჩიტიც იყერ გადაფრინდება.

„იუპიტერი კაცის დასჯას რომ მოინდომებს, — ჯერ ქუთას წაართმევს“ — ი, ნათქვამია, და მსოფლიო დემოკრატიის ქვეყნებში თითქმის ეს სრულდება: საშინელ საფრთხის წინაშე სდგანან დაქაქულნი და... ვერმანისა უშნიდ აიარალებენ, ისპანისა — მარაქაში არ ურევენ, იაპონიას ხელ-ფეხს უკრავენ და მგლის თავზე — სახარებას კითხულობენ ათას კონფერენციასზედ.

სტრატეგიული სივრცით, ცოცხალი ძალის სიმრავლით, დაპყრობილი იქნითა და სატყეულები ორმაგი ჯავშნით გარემოვრებული რუსეთი, შეიარაღებული თავით-ფეხამდე მოღერებული ყველა იარაღით და „გამარჯვების“ ფსიქოლოგიით, — უძლეველი მოსიანს, მძიმე-მძიმედ მოაზროვნე და უფრო მძიმედ მომქმედ დემოკრატიის წინაშე. და დროც რუსეთის სასარგებლოდ მუშაობს.

ყველა ამით, ყალბდება მეთაღი ფსიქოლოგიური ბრძოლისა და შეიარაღებული წინააღმდეგობისა ცერობა-ამერიკისა რუსეთის მიმართ. მაგალითები თვალწინ გვიდგას საბერძნეთისა, კორეისა, ნაწილობრივ სპარსეთისა და ხვალ, საუბედუროდ, შეიძლება მოწმენი გავხდეთ ფინლანდიისა, ბალტიის ქვეყნების, პოლონეთ-რუმინია - სერბიის, კავკასიის, თურქისტანის და ჩინეთის განადგურებისა ისე, რომ შიდა რუსეთმა ნაკლები ზარალით, ომი თუ არ მოიგო, არ წააგოს მაინც და მტრებს არაქათი იამოაკალოს თავის გამძლეობით.

საგაღმდებლო ფორმულა კი ერთია: „კართავი დღემდა ესტ!“ როგორ იხსნება ეს ფორმულა თანამედროვე კონიუნქტურაში?

„მოსკოვია“ (მოსკოვია და არა მოსკვა) არის ბუდე ყველა უბედურებისა და იქნა გადასატანი მთელი ძლიერება ფსიქოლოგიური, ცივი, ცხელი თუ ფიცხელი ომი

„ქართული ეროვნულ - პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში“, შესდგება იმ პოლიტიკურ პარტიასა, ორგანიზაციასა და სამხედრო თუ საერო მოღვაწეთაგან, რომელნიც აღზრდილი საქართველოს ისტორიასზედ და დამყარებულნი ეროვნულ პრინციპზედ, მთელი ნახევარ საუკუნის მანძილზედ, — სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა გარემოებაში და სხვა და სხვა საშუალებით —

ებრძოდნენ რუსეთის უკანონო ბატონობას ჩვენში, რა სახითაც, ფორმით, იდეოლოგიით, რეჟიმებით, თუ სხვა ათას საშუალებით უნდა გამოხატულიყო ეს ბატონობა.

უწევს რა ანგარიშს „ქართ. ერ.-პოლ. ცენტრი“ დღევანდელ მსოფლიო ძალთა კონიუნქტურას, ტრადიციულად განაგრძობს ქართველი ერის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, მისი საერთაშორისო უფლებათა აღსადგენად.

ამიტომ, როგორც ისტორიულად ჩვენი წინაპრები საუკუნეთა განმავლობაში აწარმოებდნენ კავკასიურ პოლიტიკას მებრძობებთან მსგობრულ ურთიერთობაში, დღესაც აუცილებლად მიგვაჩნია, თვით

სა. შიდა-რუსეთი, მგელი უნდა გამოცხადდეს მსოფლიო დემოკრატიის მტრად აშკარად და არა მისი ყალბი ქურქი — კომუნისმი. აქეთვე უნდა იყოს მიმართული მთელი პროპაგანდაც.

მაშინ ყველა დაშინებულსაც გული მიეცემა და ასეთები უმრავლესობას შეადგენენ თვით რუსეთის იმპერიაშიც.

სატელიტებზეც, გერმანიამაც (აღმოსავლეთისა), ავსტრიამაც უნდა იცოდნენ, რომ მსოფლიო დემოკრატია ებრძვის შეიარაღებულ, დამპყრობ რუსეთს და არა ადგილობრივ კომუნისმებს, რომელთაც თვითონვე ადგილობრივ მონივლელებს და ამით „ნეგროლიტიკურ პუნქტებს“ მოსაბრუნებენ.

და ცხელი ომი, რუსეთის განაპირებს კი არ უნდა დაატყდეს თავზე გამანადგურებელ საშინელებად, არამედ მოველინოს განმათავისუფლებელ იმედად, მთავარი დარტყმის გადატანით მთელი სტრატეგიული სიძლიერით, — მოსკოვის გულსა, ხერხმალსა და ძარღვებზედ: თვით მოსკოვი თავისი ქარხნებით და სკოლის-გზებით ასტრახანიდან ლენინგრადამდე; ურალის ინდუსტრიული ცენტრები კუნეცკსტროიდან გარდი - გარდმო დონბასამდე და სხვ.

მაშინ ორმაგი სალტა-ჯავშანი თავისი ძალებითაც მოერევა ძალით და ტერორით თავზე მოხვეულ რუსულ რეჟიმსაც და რუსულ გაუმაძღარ ბოლშევიზმსაც. ფინლანდიდან უკრაინა-კავკასიამდე და შემდეგ თურქისტან, მონღოლ - ჩინეთამდე; ერები და სახელმწიფონი თვითონ გაუსწორდებიან დამპყრობ სტუმრებს და ევროპა-ამერიკას მხსნელებად სცნობენ.

თვითონ რუსის ხალხიც თავის ბუნებრივ კალაპოტში მოექცევა და იძულებული იქნება არა იხსნოს მარტო მშვიდობიანობაზე, არამედ, კბილებ-დამძვრალმა მართლა მოახერხოს მშვიდობიანი ცხოვრება მესობლებთან და დემოკრატიულ მსოფლიოსთანაც.

საქართველოს არსებობისათვის, კავკასიის ოთხი ერის გაერთიანება კონფედერაციაში, — ვინაიდან ეკონომიურად, სტრატეგიულად, ისტორიულად და სულიერად, კავკასია შეადგენს თანამედროვე პირობებშიაც — ცხოველყოფელ მთლიანობას (ვიაბლ).

ვდგევართ რა, ერის თვითარსებობის პრინციპზედ, მოვითხოვთ რუსეთისაგან ძველად დაპყრობილ თუ ახლად შემოიწრობულ ერების განთავისუფლებას, ამ ერებთან სოლიდარულად და „სტანტიურ პაქტის“ ნიადაგზედ.

ვამყარებთ კეთილ-მეზობლურ ურთიერთობას ირან-ოსმალეთთან, რომელთა სასიცოცხლო ინტერესია რუსეთის დაუსტება, — მათთან საქართველო - კავკასიის საზღვრების საკითხის გადადებით მომავალ საზავო კონფერენციამდე.

აქ აღნიშნულ პოლიტიკურ მოსწრაფებათა მოსაღწევად, „ქართ. ერ.-პოლ. ცენტრი“ უკავშირდება ყველა იმ სახელმწიფოთა, საზოგადოებათა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელნიც ებრძვიან რუსულ ბოლშევიზმსა და იმპერიალიზმს; უდაოდ სცნობენ საქართველოსა და კავკასიის სრულ დამოუკიდებლობას, ვისგანაც არ უნდა იყოს და საერთაშორისო ურთიერთობის ძალით აღიარებენ, მომავალ ეროვნულ სახელმწიფოთა საერთაშორისო ოჯახის თანასწორ წევრად; ე. ი. აშქოფობენ ჩვენსავით სახელმწიფოებრივი კათეგორიებით, გვცნობენ პოლიტ. პარტნიურებად და არა ფულსა და ინსტრუქციებს გვაძლევენ. იხ. აქვე, ერთი მაგალითი „ცნობის ფურცელში“: „საკორინთის“ ამერიკულ კომიტეტის ცნობები და სხ. მრავალი.

ეს პრინციპიანური დებულებანი, მკაფიოდ აღნიშნული ჩვენს პირველ დეკლარაციაში, ვერ გაბათილდება მოწინააღმდეგეთა დემოკრატიული სიკრუთი, — ვითომ ჩვენ ვეძაძებით რუსის ხალხს. პირიქით, თავის ეთნოგრაფიულ, შიდა რუსეთის, საზღვრებში შესულს, ჩვენ თანაუგრძობობთ საშინელ რეჟიმთან ბრძოლაში და არ ვერევით მათს შინაურ საქმეებში. მხოლოდ, თუ როდისმე ელირსა რაიმე ბუნებრივ რეჟიმს, მსათანაც, როგორც მსოფლიოს ყველა დანარჩენ სახელმწიფოსთან, ურთიერთობაში იქნება საქართველოც.

რაც შეეხება რეალიზაციებს, ე. ი. რეალური პოლიტიკის, კონკრეტულ ამბებს, რასაც მენშევიკები „ტაქტიკას“ ეძახიან, შემდეგი ითქმის: 1) დღევანდელი, პაიპარად შექმნილი „ქართული (?) ეროვნული (?) საბჭოს (საქეტ)“ ხელმძღვანელობამ, — შობილმა, იმავე „რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტიის“ წიალიდან, ჩვენი შიგნიდან და 1914-1918 წლის ომისა — გარედან წნეხით იძულებულმა საქართვე-

ლოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზედ 1918 წლ., 26 მაისის აქტით, — წააგო იგი სამარცხვინოდ 1921 წელს.

2) მას აქეთ, 30 წლის განმავლობაში, გაყოფილმა ემიგრაციამ ორ ბანაკად (ხან ფარულად, ხან ახლილად), სწორედ რუსეთისავე საკითხის გამო, — ერთმა ნახევარმა (თორღანი - გეგუქკორის ხელმძღვანელობით) დაასრულა თავისი კარიერა 1946 წლის სამარცხვინო აქტებით, — მტერთან, ბოლშევიკებთან შერიგებით და ემიგრაციისათვის რჩევით შინ დასაბრუნებლად. და მეორე ნახევარმა (არსენიძე-ცინცაძე-ურატაძეს მეთაურობით), — კერძისკი, ნიკოლაევსკი, ზენზინოვთან შეთანხმებით (ისეთივე მტრებთან საქართველოს დამოუკიდებლობისა) — მივიყვანა „ვისბადენში“, „იელინაია, ნედელიმაია (ისევე როსიას“ ბანაკში.

3) ჩვენმა ყოფილმა მთავრობამ დაიჩაქვა (: არსენიძე დიქსიტს) ვისბადენელების წინაშე, „შეიცვალა პოლიტიკა“ (: იგივე არსენიძეს სიტყვებითა 27/1-ს კრებულზედ) და „გადაცვალა უფლება პირველობისა ოსპის შეტამანდზედ“, ბიბლიურ ენით რომა ესტყათ.

ეს სამ-მუნღელი „ტაქტიკა“, — ათას სხვა საეკლისსმო ვარიანტსაც რომ თავი დაუანებოთ, არაა აღმძვრელი ბრმა ნდობისა, რომელსაც მოითხოვენ ემიგრაციისაგან დღევანდელი „საბჭოელი“, რადგან ისტორია და ბიოგრაფია უფროა მაჩვენებელი სინამდვილისა *), ვიდრე წყალ-წასაღები ენაწყლიანობა „მებრძოლ საქართველოს“ ორი უკანასკნელი ნომრისა და პორნოგრაფიამდე ჩამოქვეითებული პოლემიკა (?) „ნაცნობ“ — ურატაძეებისა „ჩვენს დროში“ (№ 11).

ჩვენმა ეროვნულმა ტაქტიკამ 1918 წლამდე, მიიყვანა საქართველო დამოუკიდებლობამდე, მათი ანტი-ეროვნული ტაქტიკის მიუხედავად.

ჩვენმა ეროვნულმა სიმტიცემ მივიყვანა „ქართული ეროვნული - პოლიტიკური ცენტრი“ 1950 წ., მათი 1946 წლის დამოქების შემდეგ ბოლშევიკების წინაშე და 1948 წლიდან დღემდე — ფედოტოვ-ნიკოლაევსკი - ზენზინოვი - კერენსკის წინაშე.

სოც.-დემ. ხელმძღვანელთა ორთავე ნახევრის დღევანდელი საღმე-ალეიქუმები ერთმანეთთან გრძელ-ვადიანი არ იქნება, „ტაქტიკას“ კიდევ ასჯერ გამოიცვლიან და საგაღმდებლო არ არის არც ემიგრაციისა და არც, მით უფრო, ქართველი ერისათვის მათს ბურბუშელობას აპყვეს და დაპყვეს.

რ. გაბაშვილი.

*) იხ. აქვე: „ომიდან ომამდე“.

„ს ა რ ო თ ი რ ო“ ა მ ბ ა ვ ი ს ბ ა რ შ ე მ ო

პარიზის „საბჭოს“ ყურნალი „მებრძოლი საქართველო“ ნომერ მეოთხეში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მიუწოდებს მის გზაზე დადგომას ასეთი მიმართებით: „ჩვე-

ნი გზა ახალია, უჩვეულო, ბევრის აზროვნებას ეწოთირება, როგორც წლობით ნაფიქრალი და მიღებული უარყოფი და გადასმინჯავი, მაინც ყველას ვიწვევთ აქ



ქართული
ბიზნიუსი

ასუსტებდა რუსეთს, თუმცა მათ შორის შეთანხმება არასოდეს მოხერხდა.

1914-1918 წლის პირველ მსოფლიო ომისა და მომდევნო რევოლუციის დროს, საქართველოს ეროვნული ელემენტები („საქართველოს ეროვნული პარტია“, შემდეგში გაფართოებული „გაერთიანებულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტია“; „სოც. - ფედერალისტთა პარტია“, მთელი ინტელიგენცია და სამღვდელეობა, საზღვარ გარეშე მომქმედ, „საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტთან“ ერთად), — ახდლიდა და ფართულად იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის.

„რუსეთის სოც.-დემ. პარტია“ (არც მანამ არსებობდა ჯერ „საქ. სოც.-დემ. პარტია“) იბრძოდა „ივლინაია ნედელიმიათა იროსია“-სათვის და ამიტომ მიიღო ინვესტიტიურა, როგორც ნიკ. ნიკ. ძის რომანოვისა ისე კერენსკისაგან (: „ოზაკომ“, „ზაკომ“ და სხ.) და „დე-ფაქტო“ გაბატონდა ჩვენში რუსეთის წყალობით.

აქაც ობიექტივობა მოითხოვს ითქვას: ეს ორი დაპირისპირებული ტენდენცია, 1915 წლის საიდუმლო შეთანხმებით, ერთმანეთს ხელს არ უშლიდა. 1918 წ. ფაქტურად ჩვენმა ფაქტობრივმა გაიმარჯვა და ამით გვიღირსენით დამოუკიდებლობას, რასაც მთელი ქართველი ერია, სოც.-დემოკრატების მასთან ერთად; ალტაცებით შეზღუდა, თავისივე მეთაურების — ეხლანდელეების — წინააღმდეგ. გარედან და შიგნიდან წინების გამო, უკანასკნელი იძულებულნი იყვნენ გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა, და რისი ვაი-ვაგლახით მიიღოთ სახელწოდება: „საქართველოს სოც.-დ. პარტია“.

1939-1945 წლის, მეორე მსოფლიო ომში, იქ საქართველოში და აქ ემიგრაციაში, ეროვნული ყველა ელემენტი ჩაება ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ყოფიანია, ცინცაძე, ურატაძე, კაცია არიციანი, რისთვის „იბრძოდნენ“.

სამაგიეროდ, ომი რომ გათავდა, 1946 წ. ყორღანია, გეგუქორია, ცინცაძე, არსენიძე, ურატაძე ჩაუტარდნენ კალიაში თავდაძე - ფელსოვსკებს, დამოუკიდებლობაზე ხელი აიღეს, ხალხი და ამანათები მისართვეს, პურს ერთად გაიხლებდნენ.

არა მარტო ეროვნული ელემენტები (: „ეროვნული დემოკრ. პარტია“, ინტელიგენცია, „თავისუფალ ქართველთა კავშირი“, „თეთრი გიორგი“ და სხ.) ეროვნულად განწყობილი „სოც.-დემოკრატები“ აუშხელდნენ ასეთ... უტუფრობას, რბილად რომა ვსთქვათ.

ჯერ არ დაგვეცდომია მესამე მსოფლიო ომი და იგივენი — გარბიან რუსებთან. ნუ გეშინიათ, აქ კი ვერაფერ დაასწრებთ: საბრძოლველი არაფერია, საკენკო — კი: ლეფინ - კერენსკი.

ეროვნული ელემენტები — ისევ ისინი — რუსეთის იმპერიის მთლიანობის მოწინააღმდეგე ბანაკში იქნებიან და არავის შეუმურდებია მიღებულ - დახარჯული დოლარები, არც ყორღანია - გეგუქორიას და არსენიძე-ცინცაძე-ურატაძეს“ „შეუბრუნებელი“ უტუფობა შეთანხმება კერენსკის სუფრის გარშემო, რადგან ჩვენთვის საქართველოს დამოუკიდებლობა არის პრინციპი, მათთვის — „ტაქტიკა“; ჩვენთვის — სინდისის ლოლიკა; მათთვის — სავაჭრო დიპლომატიკა; ჩვენთვის — ანდამატე; მათთვის — „ღია-მატ“-ი.

ასე, ომიდან - ომამდე, რევოლუციურიდან - რევოლუციამდე, ნახევარ საუკუნის მანძილზე, სოც.-დემოკრატების მეთაურნი, როგორც ხარები შინსკენ, მუდამ რუსეთისაკენ იწევენ, ქართველი ერი და ემიგრაცია, მძიმე ურთიერთობაში, მანც საქართველოსაკენა მიღრევილია და ღმერთმა უშველოს აჩესონის შეუბრუნებას და მის დემოკრატიულ მეურნეობას, ეგების რუსეთის მეორე იმპერიას (ბოლშევიკურს) მესამეს იმპერიალისტივტი თან გააყოლოს. დეე, დეტონ მისკოვში და უწმინდური ხელი აიღონ საქართველოზე. ნამდვილ ქართველებს კი, გინდ სოც.-დემოკრატები იყვნენ, ჩაფიქრება ჰმართებთ ამ ნახევარ საუკუნის სწორ, თუ გაუსწორებულ ტენდენციებზე, და შეთანხმების სიავ-სიკარგზედ, კარგსა და ცუდ მხარეებზედ. მეოცე საუკუნის ისტორიული ფაქტია: სოც.-დემ. მეთაურების ტაქტიკას მუდამ „მთლიანი რუსეთის“ ფარგლებში მივყევართ: ხეშმარიტია.

ქართული კალამის და მისი ცნობილი სიტყვის სიღარბისილე დიდი - ხანია საზღვარს გადასცდა. აზრთა სხვაობა საქმედაც რომ იქცეს, პრესამ საკუთარი მებობა ისე უნდა შეინახოს, ქართული აზრის მსვლელობა და მისი ისტორია ლანდლა - გინების ქუჩიდან მოტანილი გამოთქმებით არ დაგვირგინდეს.

მაგრამ, ვინც თვალს გადაავლებს ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ უფრანალ-გაზეთებს, დაუბრკოლებლად აღმოაშენს სწორედ ამ მეტადი სამწუხარო და სავალალო ამბავს.

მრავალი მიზეზთა შორის პირველი — ფსევდონიმებით ხელის მოწერა გახლავთ, ე. ი. სრულიად უბასუხისმგებლო, როდესაც ავტორი საკუთარი „ნაწარმოებს“ ისე ეფარება, როგორც ნავის ყუთს პატარა დიდ - კუდა ცხოველი.

მეორე მიზეზი, ღირსეული აღიარებული, დემაგოგია არის, რომელიც ყველგან დახეტილებს, ვერსად ბნა ვერ უშოვნია და „ჩვენი დროის“ ფურცლებზე შეხიზნულია:

„არ ახალია, ძველია“, სწერს ვილაც „ა“ ხსენებული უფრანალის მეთორმეტე ნომერში. ემიგრაციის მთავარი ნაწილი ეროვნულ მოლატედ გამოპყავს და გაიძახის „მე იარ და ჩემი ნაბადი გამოთენებელი ღამისა“-ო. ისტორიული პარალელეების მოყვანა და ემიგრაციის პოლიტიკურ მუშაობასთან შედარება, ისეთი უსუსური, კბილ მოკვეთილი იარაღია, რომელიც დემაგოგიის დიდ ნაწილს შეადგენს და ვერავის დაამარცხებს, თვით ავტორის გარდა.

საქართველოს ისტორიული ტრადიცია, აზრთა და საქმეთა ჭიდილით რომ დაიჭინცა და დაუძლურდა, ეს მადა გახსნილ თავ - დამცემ საქართველოს მტრებისგან იყო გამოწვეული და არა თვით ქართველთა მიერ.

თუ მეტად პატივცემული ბატონი „ა“ დღევანდელ ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს სვამს, ეს უფრო მეტი შეცდომაა, რადგან დღეს დედა-მეფა ორად არის გაყოფილი:

პირველი, თეთრი შთამომავლობის წითელი რუსეთი; მეორე — კეთილშობილი

დემოკრატიული კაცობრიობა ამერიკის ხელმძღვანელობით.

მესამე არ არსებობს; და თუ ვინმე ეძებს, პირველს უნდა დაუბრუნდეს. სწორედ ამ სამარცხვინო უკუ - ბრუნების გამო იყო გამოწვეული ემიგრაციის ორად გაყოფა. ამიტომ ჩემი ვულ - წრფელი სურვილი იქნება, ბატონო „ა“, საქართველოს ისტორია თქვენ პარტიულ „ისტორიკოსებს“ დაუთმოთ, რომელთათვის ხსენებული დამოუკიდებლობა ქართულ ენაზე 1918 წლიდან იწყება. რუსულ ენაზე ზოდიშებს იხდიან, ევროპულ ენებზე ამტკიცებენ იგივე დამოუკიდებლობის საწყისს 30 საუკუნის — წინ ქრისტეს დაბადებამდე.

მათთვის ეს საკითხი საეპიკო საგანი გახდა, რომელსაც სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა მატერიალურ მომენტში განსხვავებულ ფასსა და ღირებულებას აძლევენ. დიას, ბატონო „ა“, მხოლოდ ამიტომ მოხდა ემიგრაციის უმრავლესობამ უნდობლობა გამოეცხადა და თანასწორ - უფლებების პოლიტიკური თანამშრომლობა მოითხოვა და არა პარტიული ბატონ - ყმობა. არავითარი ცნობა-არცნობის საკითხი არ ყოფილა დასმული და თუ ვინმე მოითხოვდა, მხოლოდ იმიტომ — დაკარგული პოლიტიკური მორალის აღდგენის მოთხოვნა.

ქართველმა ერმა მის ყოველ მთავრობას დამპყრობელ მტერთან ბრძოლა დაავალა და არა მასთან თანამშრომლობა. თუ მიზნის მისაღწევად ყოველი საშუალება მისაღებია, როდესაც მიზანი საშუალებად იქცევა როგორც გადამართლოთ თავმოკვეთილი მოღვაწის „მოღვაწეობა“...?

სად იყო, ბატონო „ა“, თქვენი ყოველის შემძლე დროშა, როდესაც მთელ ემიგრაციას ციმბირში გადასახლებით გვიმსპინძლებოდა პატივცემული მთავრობა და თავაძე?

ან რას გვეტყვიო ბატონ კერენსკების ფინანსური „პრიკაზი“-თ დაარსებულ ს. - დემოკრატების „ქრონულ საბჭოს“ მესახებე...? რომელიც აშკარად მოითხოვს სამართლიან და სრულ-უფლებიან „ეროვნულ ცენტრის“ დაშლას და ძველებურად რამოდენიმე პიროვნების გაბატონე

„საგომთში იხედება ახალი რუსული უოვინიზმი“

II

ასეთი სათაურით, ვპირდებოდით მკითხველს ჩვენ პირველ წერილის ბოლოში — „გავგრძელებას“. (1951 წ. მასში).

როგორ წარმოვიდგენდით, მოკლე ხანში, ვნახავდით ზოგიერთ ქართველებს მანე რუსული - თეზისის მქადაგებლად: „ბრძოლა საბჭოების წინააღმდეგ უნდა იზღუდებოდეს რეჟიმის წინააღმდეგ შეზღუდვებით; ეროვნებათა დამოუკიდებლობის საკითხები კი მხოლოდ რეჟიმის საბოლოო დამხობის შემდეგ იქნებიან განხილულნი...“?

ეს ზომ ის ბილიკია, რომლითაც რუს „დემოკრატებს“ მსურთ ქართველების და სხვა არა-რუს ერების, თვალ-ახვეული მიყვანა მთლიან და განუყოფელ რუსეთის „ფედერაციამდე“... (იმპერიალდე...)!

ასეთი თეზისი გარკვეულად და სასტიკად უკრძალავს, მის მსოფრთველით, ოცნებას და ქადაგებას საბჭოთა კავშირის დაყოფის საჭიროებისა! (ამას ნათლავენ: „разжигание национальных ненавистей“ ენეც ვასაგებია!

მთელი რუსული ემიგრაცია, შეშინებული ამ „რუსულ იმპერიის“ დაქუცმაცების შესაძლებლობით, სცილობს დააჯეროს ამერიკელები, რომ ასეთი აზრი უსადგილოა, რომ, სინამდვილეში, ყველა არა-რუსი ერები მზად არიან რუსებს ელაპარაკონ, და მათთან უშუალოდ მოავარონ თავისი საკითხი; ამისთვის იმართება ვისბადენის საჯამბაზო „კონფერენცია“... ამ ხანით რუსი ჩერნოსოტნიკები და დემოკრატ-იმპერიალისტები ჩვენ გენათლავენ „შოვინისტებად, ფაშისტურ ყაიდაზე“, რომელთაც მსურთ სამოქალაქო ომის გამოწვევა „რუსეთში“ (თურმე დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა — თუ კი ის გა-

ხდა საჭირო — არის „სამოქალაქო“ ომი! (იხილეთ ბ. ნიკოლაევსკის! „ნა რუბიეცე“, მარტი 1952 წ.).

აი ამნაირად, რუსებს მსურთ დაჰყონ ემიგრაციები „რუსოფილებად“ და რუსოფობებად“, თითქო სამშობლოს სიყვარული თავის-თავად არც კი არსებობდეს.

მაგრამ ვანა ეს ცდა არ არის სასარგებლო თვით ბოლშევიკურ პოლიტიკისათვის? სტალინსაც ეშინია, საბჭოეთის „დაქუცმაცების“ აზრმა არ გაიმარჯვოს მსოფლიოში, ვინაიდან იცის რომ მხოლოდ ამას შეუძლია გაზაროს და დადნოს, შიშით გაყინული, ვითომც და მთლიანი მასსა საბჭოთა ერებისა. სტალინმა იცის როგორც ამბობს ბ. მილოში (Preuves, Fevrier - 1952) „le reveil des nationalités sera terrible!“.

მრავალ უცხოელთა წარმოადგენაში „საბჭოეთი“ დღეს ნამდვილი ა-ნაციონალური სახელმწიფოა, ვინაიდან „შინაარსი მისი სოციალისტურია და მხოლოდ ფორმა ფედერატიული - ნაციონალური“. სინამდვილეში კი, ჩვენ ვიცით, ეს ა-ნაციონალიზმა მხოლოდ მოჩვენებითია... ეს კარგადაა აქვს შეგნებული სტალინს, რომელიც შეუპოვრად „ამჟღავნებს და ანადგურებს“ ყოველივე ნაციონალისტურ - უკლონიზმებს, ბუროკრატულ - ნაციონალიზმებს, რომანტიზმებს და სხვ.

მისი ბოლშევიზმი რუსულ წარმოშობისაა — და თუმცა ამაში რუსეთის ხალხს დღეს უკვე იქნებ წილი აღარ უდევს, — მაინც ბუნებრივად, და აუცილებლად ემსახურება რუსულ იმპერიალიზმს. — ამიტომ არის, რომ „სოსოს“ თავიდანვე დასჭირდა რუსულ ცენტრალიზმის სიმბოლოები: მოსკოვი — კრემლი, სახელი: სტალი

ნი და თვით ინტერნაციონალიზაცია — ინტერალურ რუსიფიკაციის სახით.

ასეთი ევოლიუტია რუსულ ბოლშევიზმისა თავიდანვე იყო აუცილებელი; და ის განვითარდა სავებურებით: თუ პირველ ეპოქაში-ვე თავს იჩინდა დამონებულ ხალხთა ეროვნული რეაქცია, მხოლოდ ამ უკანასკნელ ომის პროცესში ფარდა აიხსნა და ნამდვილი შოვინისტური სახე გვიჩვენა ველიკო - რუსული იმპერიალისტური გრძობამ, კოლონიალისტურ ზრანებმა. საქმეში ჩახედული პოლიტიკური მიმომხილველი ადასტურებენ, რომ 1934 წლიდან საბჭოეთში გარკვეულად იღვიძებს ველიკო - რუსული შოვინისტური სულისკვეთება. მაშინ იწყება ის სისტემატური დევიცია - წმენდა - „ინტერნაციონალიზტი“ ურთობისა და განაპირა ერების „უკლონისტებისა“, რომელმაც მიაღწია 1937/8 წ.წ. სისხლის ღვრის უმაღლეს წერტილს.

რა თქმა უნდა, იმდროინდელი საბჭოთა ტერმინოლოგია კატეგორიულად ერთდებდა სიტყვებს: „სამშობლო“, „რუსეთი“, „ერი“ და მხოლოდ „მსოფლიო პროლეტარიატის“ მადლით და სახელით აწარმოებს თავის ჯალათურ საქმეებს.

1941 წლიდან თავს იშვებს და აშკარად დება რუსული შოვინიზმი. ჯერ იხადება (ამას მოითხოვს დროებითი სამხედრო საჭიროება) — სინტეტური პატრიოტიზმის დროებითი თეორია: არა რუსი - ხალხები, „უმცროსი ძმები“, უნდა ეხმარებოდნენ „უფროს ძმას“ — რუსის ხალხს. მაგრამ როდესაც საგრძნობი ხდება ამ „უმცროსი ძმების“ არა - ლოიალური განწყობალება, ბოლშევიზმი მიმართავს ფსიქოლოგიურ წმენდას ახალ თქმატაკას: რუსის ხალხის პირველობისა და უზენაესობის.

ჯერ იწყება რუსულ ისტორიის, სახელმწიფოებრივობის და სახმედრო უნარის სისტემატური გაზვიადება. პეტრე დიდი და ეკატერინე ხდებიან სავალდებულო „სოციალისტური“ სიუჟეტები. ალექსანდრე ნევესკის, კუტუზოვის და სუვოროვის სახელობაზე წესდება, სამხედრო ჯილდოები... მაგრამ ვანა ისურვა კრემლმა დაწესება: ირაკლის ჯვარის, თამარ მეფის ვარსკლავის, ან კიდევ ან სობიესკის ჯვარისა?

1945 წლიდან მეტი ყურადღება ეძლევა რუსულ კულტურისა და მეცნიერების „უპირატესობას“. მავალითად, ყურნალ „ბოლშევიკ“-ის № 21-ში სწერია: „რუსის ხალხის პროგრესისა - მოაზროვნეებმა, გამოიჩინეს შეუდარებლად მეტი დამოუკიდებლობა და სიღრმე მეცნიერებაში, ბევრად უფრო ვადამპრელი მიღვამა უმნიშვნელოვანეს ამოცანათადმი, ვიდრე დასავლეთის ფილოსოფოსებმა“-ო.

1946 წელში ნამდვილ სახელმწიფო დარგად ყალიბდება სისტემატური ფალსიფიკაცია მეცნიერების და ხელოვნების ისტორიის, რომლის წყალობით „მტკიცდება“, რომ ყოველივე ცნობილ მეცნიერულ აღმოჩენას წინ უძღოდა 25-50-100 წლით ადრე რუსული თანაბარი, ან უკეთესი აღმოჩენა!

ამის ქადაგება და „დასაბუთება“ ევალება მთელ რიგს რუსის მწერლებს და პროფესორებს — და ისინი „სტახანოვერად“ ასრულებენ ამ ზღაპრების თხზვასა. დედა აზრი არის ლომონოსოვის ძველი ლექსი: может собственных Платонов и быстрых разумом Невтонов российская земля рождать... ასე ჰბადებენ: პოლშენოვებს - იურიევეებს - პოპოვებს მოყაიკებს... და სხვა... იგივეა თანამედროვე რუსულ ხელოვნების და სპორტის სფეროში.

სიტყვები: რუსი, რუსული, ველიკორუ-

რაც

ცნობის უპირველი

როგორც ვამბობდით, „უკრაინის ვი-სტი“ 1) № 35 (602), — ნიუ-იორკში 2) შე-სდგა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საპროტესტო მანიფესტაცია, მოწოდებით „უკრაინის საგანგებო კომიტეტისაგან“. გარდა უკრაინელი მოღვაწეთა: (თამაზაძე-მარ-ტოვი, უკრ. საგან. კომ.) — საპროტესტო დო-ბრისასკია: უკრაინელი „სეკომოდო“-ს რედა-ქტორ ლ. მიშუტასი და ინგლისურ-უკრა-ინული „საინფორმაციო ბიულეტენის“ რე-დაქტორი ე. დუშინსკისა) სიტყვა წარმოს-თქვას, დიდად მნიშვნელოვანმა პოლიტი-კურმა მოღვაწეებმა ამერიკის შეერთებუ-ლი შტატებისა: სენატორმა ა. სმიტმა, სა-გარეო საქმეთა კომისიის წევრმა, რომელ-მაც მხარი დაუჭირა უკრაინელების ბრძო-ლას დამოუკიდებლობისათვის, — ვინაიდან, მისი აზრით უკრაინაზედაცა და მოკო-დებული ცივილიზაციის ბედი, კოლუმბი-ის უნივერსიტეტის პროფ. მანიანგმა ხაზი გაუსვა მოსკოვის ტრადიციულ იმპერია-ლისმს: „ბოლშევიზმი, მარქსისტული ინ-ტერპრეტაციითაც შეიცავს ყველა თვისე-ბას ველაქორუტული იმპერიალისმისა. ბოლშევიკები განაგრძობენ მეფეების პო-ლიტიკას უფრო მეტად და მხნერბესუ-ლად. სწორედ ამადუ ხაზით მიმართება რუსეთის ემიგრაციას... რუსული იდეა ან-ტიმემანური და ანტიამერიკულია“.

ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა ტო-მას დიუმ, შტატის მოსახლეობის სახელით,

- 1) ყველაზე ვაგონიანი ოფიციალური გაზეთი უკრაინული მთავრობისა და რე-დისა.
- 2) ნიუ-იორკის ერთ-ერთი გაზეთი უბანი.

ბას, რომლის ერთ-ერთმა წევრმა, საქარ-თველოს საქმეთა — გარეშე მინისტრმა სა-ჯაროდ განაცხადა: „ემიგრაციის ახალ-გაზრდობას თავადე მიჩინება“ —

ვეოქრობ, ასეთი შეურაცხყოფას ცოცხა-ლნი კი არა, ქართული საფლავებზეც ვერ აიტანენ.

სამწუხაროდ, ყოველივე ეს, „არ ახა-ლია, ძველი“.

გ. ყიფიანი.

პარიზი, 1952 წ.

სხვათა შორის სიტყვა: „ჩვენი აზრით, ყველა დროის ორი უდიდესი ქოჩი არის რუსული კომუნისმი და რუსული იმპერიალისმი“.

ასეთივე სიტყვებით გამოვიდნენ: თავმ-ჯდომარე დემოკრატიული პარტიისა — ფრენდ ე. მეკინი; თავმჯდომარე რესპუბ-ლიკანურ პარტიისა: გ. დ. გემრიელსონი, სენატორი გერბერტ ლომენ, სენატორი მარ-გარეტ სმიტ, სენატორები: ი. აივს, რ. გენდ-რიკსონ, გ. კეივარტ, პატ მეკ კარენ, ბრაენ მაკ მაგონ, ჯ. სმეტერს, შენრი ლოჯა და კონგრესის წევრნი: ე. ტარტ, პ. როდინო და რობერტ კინ.

ტრუმანის სიტყვიდან კონგრესის წევრთ-საწყობის ერთ-ერთ სახეიმი სხდომაზე: „... საბჭოთა კონსტიტუტუსი შეიცავს ბევრ ლამაზ სიტყვას თავისუფლების გარანტია-ზედ, მაგრამ ეს სიტყვები არააობაზე ნა-კლებს ნიშნავს: ცარიელი დაპირებანი, რა-დგან საბჭოთა მოქალაქეს არა აქვს არა-ფიციარო საშუალება დაიცვას თავისი უფ-ლება სახელმწიფოს წინააღმდეგ; მუდამ შიშითაა შეპყრობილი. საბჭოთა საზოგა-დოება — ჯუღუღუბა, საცა მთავრობა დათარქუმობს ნადირივით და აფრობობს ყველას. კრემლის ძალა უფრო სრულია, მტარეალური, უფრო მრავალფერო, ვიდ-რე მეფეებისა, ჩინგიზხანისა ან რომელიც გნებავთ ტირანიისა“.

კიდევ ერთი ანტიბოლშევიკური „ცენტ-რი“. რუსულ ბოლშევიზმის აღსასრული რომ მოახლოვებულა, გასაკვირალი არ არის, — სოკოვსავით იჭრებოდეს მათი საწინააღმდეგო ძალები. უბედურება მხო-ლოდ იმაშია, რომ ეს ძალები ერთი ერთ-მანეთის წინააღმდეგაც ირანებთან და არ-სებობად ბოლშევიკების წისქვილზედ ას-ხავენ წყალსა: „რუსეთის მისლ“ — 25/VI ის ნომერში აღმოჩნდა კიდევ ერთი ახალი — რუსული — ქართული „ცენტრი“, ბნ ნ. ცინცაძისა და საქართველოს დამოუკიდე-ბლობის დაუძინებელი მტრების ბ. ნიკო-ლიძისკისა და ს. მეღვინის ხელმძღვა-ნელობით. კიდევ ახალი სახელწოდებით და მორიგი სტატისტიკის დამატებით. არც უკრაინელები, არც დამნაკტუტუნი, არც

ბალტიელები, არც „ჩვენი“ დ. სხირტლა-ძე აქ აღარ იხსენიებან. და, როგორც ცნობა გვაქვს, არც „ქართულ ეროვნ. საბ-ჭოს“ დაუვალდება ვისთვისმე ასეთ ახალ ავანტიურაში ჩაბმა ბ-ნ ნ. ცინცაძისათვის. მაშ ვისი სახელით მოქმედებენ ეს ახალი ჯურის „ანტიბოლშევიკები“?, სხვებთან შეუთანხმებლად?

ახალი „შტარბურგის კონფერენცია“ — ც ბ-ნ კერკის საკენკის იმედით შეითხზა და „ქართ. ეროვნული საბჭოს“ კონკურენტად გამოდის? სოკოვები წვიმაზე მრავლდები-ან, ცინცაძეებ — ცეცხლის წვიმების დრო-საო“.

20 მაისის ოსმალეთში შესდგა აზერბე-იჯანულ პოლიტიკურ ემიგრაციის საყო-ველთაო კონგრესი, რომელშიც მიიღეს მონაწილეობა ყველა არსებულ აზერ. მო-ძრაობათა წარმომადგენლებმა. კონგრესმა დააწესა „აზერბეიჯანის ეროვნული ცენ-ტრი“ და ურთხმად აირჩია მის თავმჯდო-მარედ, აზერბეიჯანის ყოფილ მთავრობის თავმჯდომარე, ბ-ნი რუსულ ზადე. ამ არ-ჩევებს ეძლევა ვადამწევტი მნიშვნელო-ბა — ვინაიდან თვით რუსულ ზადეც და კონგრესიც კატეგორიული მომხრენი არ-იან კავკასიურ კონფედერაციის შექმნისა.

ნიუ-იორკში ჩამოყალიბდა რუსეთის-გან „ჩაგრულ ერების საკოორდინაციო ცენტრი“, — რომელიც იბრძვის ბოლშევი-ზმის წინააღმდეგ და ყველა რუსეთისგან დაპყრობილ ერების დამოუკიდებლობის უპირობო აღდგენისთვის. „ცენტრის“ თავ-მჯდომარედ არჩეულია ბ-ნი ვიტვიკი (უკრაინის ეროვნულ რადის წევრი და წა-რმომადგენელი ამერიკაში), მდივად — ქართულ-ამერიკულ ლიგის წევრი, ბ-ნი ვამო ნანუაშვილი. ამ საკოორდინაციო ცენტრს ექნება უდიდესი მნიშვნელობა ამერიკულ პოლიტიკურ წრეების გასარკ-ვევად, ჩვენი და ჩვენი მომე ერების ერო-ვნულ პრობლემებში.

„ახალი წიგნი“ — ამ სათაურით გაზეთი „ჩვენი დროში“ აცნობებს თავის მკითხვე-ლებს ბნ მარკოშ ტულუშის საინტერესო წიგნს „საბჭოთა კავშირი და ეროვნებათა პრობლემა“. „მათთვის“ საუბედუროდ ეს ყველა იცის თუ როგორ აამხედრეს მთელი „განრიონიკებული“ პრესა უკრა-ინულ პოეტ ვლადიმირ სოსიურას წინა-აღმდეგ (პოემა: „გეყვარდეს უკრაინა!“). დაიბეჭდა ეს პოემა 1945-ში და ჯანგამი ასტეხეს მის თარგმანის გამოქვეყნების დროს 1951 წ. მაისში ალექსი სურკოვმა (14 აგვ. 1951, „პრავდა“-ში) ბევრი იყევა „ყაზხისტანის, აზერბეიჯანის, სომხეთის და ესტონიის ლიტერატურის ნაციონა-ლისტ - ბურჟუაზიულ გადახრებათა“ წი-ნააღმდეგ. „იხვესტიაში“ დასმინა აგრეთ-ვე ბოლშევიკის მწერლები ბოგდან ისტრუ და პეტრო დარიენკო მთ „ვიწოდ ვავე-ბულ პატრიოტიზმის“ გამო, 1951 წ. აპ-რილში დაევალა „ქართველ მწერალთა პლენუმს“ ჩვენი თანამემამულე კონსტან-ტინე ვამსახურდიას გაცოცხვა. სხვა რომ ვერა იხელთეს რა: ანათემას მისცეს მის მიერ „საშუალო საუკუნეების არქაიზმე-ბის იდეალიზაცია“...

ამ ოთხი ხაზით სწარმოებს საბჭოეთში გიგანტური მუშაობა, რომ შეუქმნან არა-რუს ერებს „უვარდისობის კომპლექსი“, და მოაჩვენონ რუსეთი თანამედ დებუ-ლებისა: „Сильные кошки звяря нѣтъ“.

სამხედრო ოკუპაციას, და ეკონომიურ კოლონიზაციას ეხლა ემსატება — და ამან ყოველივე ქართველი უნდა დააეჭიროს, გინდ კომუნისტიც იყეს — ეროვნულ-სულიერი რუსიფიკაცია.

საბჭოთა კავშირის პიშინიც ხომ ასე იწ-ყება:

Союз нерушимый народов свободных
Сплотила навеки Великая Русь...
მოსკოვის აზრით, ინტერნაციონალის საუკეთესო განხორციელება იქნება რო-დესაც მოსკოვიც, გონებრივთაც და ენითაც გარუსდება.

მაგრამ მკითხველს აღბად კარგად ახ-სოვს ბაბილონის გოდოლის შენების ამ-ბავი...

წიგმი 1946 წ. გამოვიდა! ასე, 6 წლის... დაგვიანებით სწარმოვეს მთელი მათი პო-ლიტიკა...

წ. მ. ლაშქარაშვილი

გარდაიცვალა მ. ლაშქარაშვილი, ერთ-ერთი იმეათი სოც.-დემოკრატი, რომელ-იც დიდი ხანია მიხვდა განსხვავებას ერ-ოვნული იდეოლოგისა და სოციალურ მო-თხოვნელებათა შორის. და, როგორც ყო-ველი შეგნებული ქართველი, ამ სოცია-ლურ მოთხოვნელებათ კი არ უპირდაპი-რებდა მტრულად ეროვნულ პრინციპს, არ-ამედ გონიერულად და სამართლიანობის პრინციპით აზავებდა.

ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი და სხვა მენშევიკებსაც, იმედია, მავალი-თი მიეცემათ, ამ საქართველოს თავგანწი-რულ პატრიოტს მიჰბადონ.

ფერილი სოზოდან

ვის ატყუებენ? თავიანთ თავს.

„მათი დროში“ უკანასკნელ ნომერში აღნიშნული ცნობა სოზოდან 26 მაისის დღე-სასწაულის შესახებ: ვითომ სოზოდან და მის მიდამოებში მცხოვრები ქართველები შე-იკრიბნენ, გაუგზავნეს მილოცვა დემოკ-რატიულ მთავრობას და სხვა. სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს: 33 ქართვე-ლში მხოლოდ 14 კაცი დაესწრო ამ დღე-სასწაულს.

აგრეთვე მათ დროში ვკითხვობთ: „პარიზის ქართველი ემიგრაციის ერთი ნაწილი ვადგა განზე და აწარმოებს თავ-დასხმას მეორე ნაწილზე“.

არამც თუ პარიზის ქართველები, არა-მედ საფრანგეთში, ბელგიაში, გერმანია-ში, იტალიაში, ისპანიაში, ინგლისში, სამ-ხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში მყოფი ნა-წილი ქართველებისა არ იზარებს მენ-შევიკების პოლიტიკას და ემხრობა პა-რიზში დაარსებულ „ეროვნულ ცენტრს“. მართლაც მენშევიკი უნდა იყო, რომ ამ-ხელი ტყუილები და სიყალბენი მთავრე-ნო მკითხველებს. ამისთანა ქართველებს მოაქეთ თავიანთი თავი საქართველოს და ქართველი ერის წარმომადგენლებად.

ამის გარდა იმავე დროში, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, იურისტი, დიდი კაცი სწერს: „თუ მართალია ის რომ მოსკოვის ბლოკი ემუქრება მთელ მოწი-ნავე კაცობრიობას წალეკვით, ადამიანს და ურს თავისუფლების მოსაპოვით?“. თუ კიდევ ამაზე კითხვის ნიშანს სვამს, ეტყ-ობა გული სტიკა, რომ მოახლოვებულა კრემლის აღსასრულის დღე. წასული წლქ-ბის საბჭოების მოქმედებას რომ ვადავა-ვლებთ თვალს, უბრალო ადამიანიც უნდა მიხედეს, რომ ეს ამბავი ეჭვს ვარეშე აღ არ არის.

მაგალითად: საბჭოელებმა ომი მოიგეს თავიანთი მოკავშირეების დახმარებით. უმთავრესად ამერიკის. იმათ კონსერვებს სკამდნენ, იმათი იარაღით იბრძოდნენ, მა-შინ ექვსსამდე ნათხოვარ ექმს დღესაც არ უბრუნებენ. ვადაიღეს თავისი ტერა-ტორია, ჩაყალბეს ბალტიის სახელმწიფო-ები, ამას არ დასჯერდნენ, ბერლინიდან ინ-დო - ჩინეთამდის მივიდნენ. ორი ისტორი-ული მტერი გერმანია და იაპონია „დაამა-რცეს“. 1905 წელის დაკარგული იაპო-ნიასთან ტერიტორიები დაიბრუნეს და კი-დე სხვაც დაუბატეს. საბერძნეთში პარტი-ზანული ომი მოაწყვეს. ირანი საფრთხეში ჰყავს. იუგოსლავიას და ოსმალეთს ემე-ბოდ. ბერლინის ბლოკუსი და დღესაც ყოველ - დღური ინკიდენტები.

კორეაში ომის დაწყება, ინდოჩინეთში და ბირმანიაში კომუნისტების დახმარება. თითქმის ერთი წელი კორეაში ზავზე ლა-პარაკ უნაყოფოდ. ყოველივე ზემოდ ჩა-მოთვლილის შემდეგ თუ ვინმეს მის თავ-დაუსხმელობაში ეჭვი შეეპარება, არის უფიცი ან ბოროტი.

საწყალო საქართველო; ვის ხელში იყო შენი ბედ - იღბალი?!

დ. ახვლედიანი.

სტალინის ცოცხლთვის არ არის ნახარა, მა-გრამ საუკუნეებოდ ნაგულისხმევი სი-ტყვებში „საბჭოთა კავშირი“, „ლიენინისტუ-რი“ და სხვა, ვინაიდან სათაყვანისცემოდ ნახევენბი სახელები მუდამ რუსულია.

1947 წლიდან არც ასეთი „ფსიქოლოგი-ური“ პროპაგანდა აქმაყოფილებს კრემ-ლის ბატონებს. არა - რუსულ გამოცემათა ტარაქი მცირდება, და მრავლდება რუსულ ნაწარმოებთა თარგმანი. საამაყით გვატყო-ბინებენ, რომ მაქსიმ გოგოვის ნაწარმოებნი თარგმნა საბჭოეთის 68 ენაზე და გამოი-ცა 48 მილიონ ცალკად. ამ ნათარგმნ გამო-ცემათა ქალაქიცი უკეთესია და ფასიც უფრო დაბალი.

1950 წლიდან მაქსიმალური დახვეწილო-ბამდე არის მიყვანილი რუსიფიკატორული ტექნიკა. ის სწარმოებს უხლა ოთხი ხაზით:

1-ლი ხაზი: (მოვიინისტური) ქება - დიდე-ბა რუსული კულტურის და დამცირება და შეტრაცხყოფა დასავლურ კულტურა - მე-ცნიერების.

(საგულისხმო ვინმე ე. ლებედევის წე-რილი „რუსის ერის სიდიადეზე“, „იხვეს-ტია“, 24 მაისი 1950 წ.).

განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნე-ლობისა არის სტალინის ახალი „ლინგვის-ტიკური თეორია“. პროფესორ ლომოვიცის განმარტებით, აქედან გამომდინარეობს, რომ რუსული ენა უნდა აღიარებულ იქმ-ნეს „იარაღად, მსოფლიოში ყველაზე უფ-რო დაწინაურებულ ცივილიზაციისა“.

სტალინი პირდაპირ ა მ ბ ო ბ ს თავის „Относительно марксизма и языковедения“ ში без языка, понятнаго для общества и общаго для его членов, об-во прекра-щает производство, распадается и пере-стает существовать, как общество“.

აქედან ვასაგები ხდება, რომ „იმპერიის მთლიანობისთვის აუცილებელია რუსული ენის სრული გაბატონება!

მეორე ხაზი: (იმპერიალისტიური) სავა-

ლდებულ საყოველთაო ლიტერ-მოტეად ქვეული ფრაზა „Великий Русский народ“. არ არსებობს ნაწარმოები, მეცნიერულ წიგნის წინასიტყვაობა, პოლიტიკური წე-რილი, რომ ეს „ველიკი რუსკი ნაროდი“ ხსენებული არ იყეს. უკედ რომ გამო-თქვათ: აკრძალულია ხმარება სიტყვების „რუსკი ნაროდ“ თუ კი მას წინ არ იქმ-დეს ზედ - შესრული: ველიკი“. იხილეთ ჰგ. სოვ. გოს. აპპარატ. ვლასოვის; „Грамматика Русск. языка“ Щербა, 1950 г., „Русский язык — национальный язык Великого Русского Народа. Это один изъ самых богатых и развитых языков ми-ра“...

მესამე ხაზი: (კოლონიალისტიური): და-ჯერება არა - რუს ერებისა, რომ რუსეთ-მა (ჯერ კიდევ ცარისტულმა) აზგუნა მათ კულტურა და ფადაარჩინა ველურ მდგო-მარეობას და თანდათანობით განადგურე-ბას...

12 თებერვლის № „იხვესტია“-სი აკ-რიტიკებს - რა „ბურჟუაზიულ“ სიყვა-რულს სამშობლოსი თურქმენ პოეტ ყურ-ბანხატოვის(პოემა: „შენ ხარ თურქმენი“) დასძენს, რომ „პოეტს სჩქალავს ისტორი-ულ სინამდვილეს: რომ მხოლოდ რუსეთ-თან შეერთებამ გადაარჩინა თურქმენები საუკუნეობრივ მონობას და საბოლოო გა-ნადგურებისაგან“...

(ამავე თემას ანეითარებდა უკვე 1948 წელში ვინმე გორბატოვი, ყაზახსტანის მიმართ...).

მეოთხე ხაზი: (აგრესიული-მოვიინიზმი): დევნა და აღმოფხვრა არა ჩიუს ერთა წი-ალიდან ეროვნულ გრძობათა და აზროვ-ნებისა. რუსული ისტორიის და „კულტუ-რის“ შესწავლა თუ ყველას ევალება, სა-მაგიეროდ მკაცრად ისჯება არა - რუს ერ-თა „ეროვნული წარსულის რომანტიზა-ცია“... მაგალითები უამრავია და კომენ-ტარიებს არი საქართველს.